სამთო მრეწველობის ბუნებრივ და სოციალურ გარემოზე ზემოქმედების პრობლემები

ჭიათურის მუნიციპალიტეტის მაგალითზე

თამთა სისვაძე

სამაგისტრო ნაშრომი წარდგენილია ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის საბუნებისმეტყველო მეცნიერებებისა და საინჟინრო ფაკულტეტის სიცოცხლის შემსწავლელ მეცნიერებათა (ბუნებათსარგებლობა MBA) მაგისტრის აკადემიური ხარისხის მინიჭების მოთხოვნის შესაბამისად

პროგრამა: სიცოცხლის შემსწავლელ მეცნიერებათა

ბუნებათსარგებლობა (MBA)

სამეცნიერო ხელმძღვანელი: ირაკლი მაჭარაშვილი

ასოცირებული პროფესორი

ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტი

თბილისი, 2016

აბსტრაქტი

ჩემი კვლევის მიზანია, კომპლექსურად ჩამოვაყალიბო ყველა ის გარემოსდაცვითი და სოციალური პრობლემა, რომელიც არასწორად მართულმა წიაღის მოპოვებამ და გადამუშავებამ გამოიწვია. მანგანუმის მადნის გამამდიდრებელი ფაბრიკის მშენებლობისა და ექსპლუატაციის პროექტის გზშ-ს ანგარიშების საფუძველზე გამოვკვეთე ის ხარვეზები, რომლებიც გზშ-ს ანგარიშის დოკუმენტსა და საჯარო განხილვების დროს გამოვლინდა. კვლევის პროცესში გამოყენებულია შემდეგი მეთოდები: კანონმდებლობის მიმოხილვა, გზშ-ს ანგარიშის შენიშვნები, საჯარო განხილვების დროს გამოვლენილი დარღვევების განხილვა, პროექტთან დაკავშირებული კვლევებისა და შესაბამისი ლიტერატურის ანალიზი, ინტერვიუ. კვლევის შედეგად გამოვლინდა, რომ გზშ-ს ანგარიში გაუმართავია, საჯარო განხილვები ფორმალურ ხასიათს ატარებს, არ ხდება საზოგადოების ინფორმირება და ამ ყველაფერზე გარემოსა და ბუნებრივი რესურსების დაცვის სამინისტრო არ ახდენს შესაბამის რეაგირებას. კვლევის შედეგად ნათელი გახდა, რომ საქართველოს კანონი „წიაღის შესახებ“ და საქართველოს კანონი „გარემოზე ზემოქმედების ნებართვის შესახებ“ გადახედვას საჭიროებს, გარემოსდაცვით კანონმდებლობასთან საწარმოს შესაბამისობა ფორმალურ ხასიათს ატარებს, რის გამოც გარემოსა და მოსახლეობას აუნაზღაურებელი ზარალი ადგება. ნაშრომში განხილულია სასარგებლო წიაღისეულის მოპოვების თანამედროვე მიდგომა, ასევე მოცემულია შესაბამისი დასკვნა და რეკომენდაციები.

ძირითადი თემატური საძიებო სიტყვები: სასარგებლო წიაღისეული, მანგანუმი, „ჯორჯიან მანგანეზი“, გარემოზე ზემოქმედების შეფასების ანგარიში-გზშ.